ლეს. თეთრი ჟიგული იყო, სადაც ჩამსვეს, გვერდზე ბიჭი მომიჯდა, ვინც წინ ზის, სარკეს ასწორებს და მუხუზება - ქ-ნი ლილა, თქვენ არ იყავით 24-ში რადიოთი რომ გამომხვედით და ხალხს მიულოცით პრეზიდენტის დაბრუნებაზე? მე ვეუბნები, სამწუხაროდ, მე არ ვყოფილვარ და როდესაც რადიო ჩაერთე, უკვე სარიშვილი და კვარაცხელია გამოდიოდა. - მართლა? - ცინიკურად მითხრა. - თქვენ ისეთი დიქცია გაქვთ, რომ თქვენს ხმას ჰგავდა. მე კიდევ ვეუბნები - სამწუხაროდ, მე არ ვყოფილვარ და იქნებ მომამხინო ჩემი გამოსვლა-მეთქი. ამა-

სობაში მანქანა გაჩერდა ქსნის პოლიციის მესამე ქვეგანყოფილებაში. მე ვიკითხე, ციხეში მომიყვანეთ? კვლავ მიპასუხეს დამცინივად - რას ამბობთ, ქალბატონო ლილა, თქვენისთანა ქალს რა უნდა ციხეში. შემდეგ ის გადავიდა და ჩემს გვერდით მჯდომს უთხრა: შენ აქ იჯექით.

- თითქოს სადმე გაიქცვილი...

- დიას. ისეთი დამამცირებელი იყო ყველაფერი... 10 წუთის შემდეგ შემიყვანეს განყოფილებაში, ჩანთაზე მითხრეს - მე წამოვიღებო... ხელმარჯვნივ სამორიგოში შევედი. ჩანთა მორიგეს დაუტოვეს და ისე წამებში გაქრა, ვერც კი დავინახე სად წაიდა. როგორც ეტყობა, იქ მხოლოდ ორი გისოსიანი საკანი იყო. ერთში, მგონი, ხუთი კაცი იჯდა, მეორე თავისუფალი იყო და იქ შემიყვანეს. გავიდა ცოტა ხანი და მორიგე შემომიტანა ქალბატონი დაბეჭდილი ჩემი ბინის მისამართი, დაბადების წელი, მოკლედ ყველაფერი, რაც საჭირო იყო მათთვის. დამაპატრიონეს და უცებ წაიკითხე გრაფა თუ რაზე ვიყავი დაკავებული, იქ კი წყნარ: ექვსმეტრიანი ქურდობაზე. გადავიჩინე, მე ამას ხელს არ მოვაწერე-მეთქი, ნუ მოაწერთო - მითხრა. ძალა არ დაუტანებიათ და გავიდა. საღამოს 6 საათზე „მაცნეში“ (მე ვერ ვხედავდი ტელევიზორს, მაგრამ ხმა მესმოდა სამორიგოდან) აჩვენეს კრიმინალური ქრონიკა და გამოაცხადეს - დააკავეს ირაკლი დოკვაძის დედა, რომელიც აბსოლუტურად იზიარებს შვილის აზრებს და აქტიური ზვიადისტია. მე პოლიციის მორიგეს ვეუბნები: აი, გესმით, რაზე დამაკავეს, ხომ გაიგეთ? დიასო - მიპასუხა მორიგემ. გვერდითი საკანიდან, რომელშიც არ ვიციდი, ვინ იჯდა, მამაკაცის ხმა მომესმა: - ჩემო დაო, რაზე ხართ აქ? მე ხმადალა განვიცხადე - ზვიადისტი ვარ-მეთქი. ამაზე მომესმა გინება, თქვენისთანა ქალს რა უნდა აქ. მე ნუგზარი მქვია, ხელი გამოყავით გისოსებში - მუხუზება. გავყავი ხელი და პარკით გადმოვცა ყველი, კიტრი, პომიდორი. ეს კაცი და საერთოდ გვერდით საკანში მხსდომი პოლიტიკურზე არ იყვნენ დაჭერილი, იქაური პატრიონები იყვნენ.

- ქ-ნი ლილა, მე მგონი, ისინი უფრო პატრიონებით მოგვეტყვენ, ვიდრე „სამართალდამცავები“...

- დიას. მე ვთხოვე, იქნებ ჩემი ტელეფონი დაწერილი და გადასცეთ თქვენთან, რომ გავაგებოთ სად ვიმყოფები ჩემი მეუღლე და დაპატრიონებულია, სახლში რძალი და პატარა ბავშვები არიან მხოლოდ. მეექვსე დღეს უკვე გამოშვებული

ლებმაც თავიდან დამაპატრიონეს. მათ ახალი ჭიქა მომიცეს, გადასაფარებელი გამომიტანეს და ცუდად მათ ვერ მოვიხსენიებ.

- რა თქმა უნდა, არიან ასეთი პოლიციელები, მე ეს მიტინგებზეც შემიმჩნევია.

- შემდეგ კვლავ ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად მიშვებენ სახლში-მეთქი. ვაიხვდებოდა კვლავ იმ საშინელ, სუკის შენობაში მიმიყვანეს. იქ კვლავ ის დაპატრიონებული 13 ქალი იყო. რომ დამინახეს, გავიყენენ - ჩვენ განთავისუფლებული გვევლინებო. მე ვთხოვე - სახლში კი არა, იმისთანა სახლი გავიცანი... უზნის ქურდები-მეთქი.

- ქ-ნი ლილა, ის დაპატრიონებული ქალები კვლავ უცვლელად იყვნენ?

- დიას, შემდეგ უკვე რამდენიმე დღეში გაათავისუფლეს უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნიკა კილასონის მეუღლე. შემდეგ მოიყვანეს საშინლად ნაცემი ორი ჩვენი მოხრე ქალბატონი და მესამე საკანში ჩასვეს მიწის ქვეშ როცა ვერტილაკის გამოართადნენ, მიწის ქვეშ სუნთქვა გვიჭირდა, ავტონდით ყვირილს, ჩართეთ, ვისჩიობით-თქო. იქვე იყო ერთი საკანი, გვითხრეს, რომ ეს ბერის დროს არის ამაყნებულები და ჯერ იქიდან ცოცხალი არავინ გამოსულა. მერე უკვე ციხის ეზოშიც ამოყავდით. ეზოში რომ ვიჯექით და საკანშიც, ვიცოდით, რომ გვითვალთვალებდნენ, ამბობდნენ ჩვენთვის ვაწყობდით მიტინგებს, ვმდეროდით შევლეს და წინწყაროს.

- ქ. ი. სულეიერად სამიტინგო განწყობილებაზე იყავით...

- ზედახედელები გიყვებოდნენ - ესენი ვინ არიან, ასე გაუტყველი რომ დარჩნენ.

- ქ-ნი ლილა, ამ ვურდობულებში რამდენი ხანი გაატარეთ?

- ზუსტად ერთი თვე. გენერალური პროკურორიდან ჩემი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა, მას ხელს რეზო ყიფიანი აწერდა. თურმე იმისთვის დამაპატრიონეს, რომ საკომუნდანტო წესები დამირღვევია. ჩემთან ერთად მყოფ ჟურნალისტ გოგონებს ათი დღე დაუმატეს. სწორედ იმ ქალბატონი ციხიდან რომ მაცილებდნენ, განვიცხადე - აწი მცოდნენება, კომუნდანტის საათი როცა დადგება, ქუჩაში უნდა გავიდე, თურმე ასე ყოფილა საჭირო, რადგან სახლში ყოფნა საკომუნდანტო წესების დარღვევად ჩამითვალეს-მეთქი. კიდევ რა განიტყვებდნენ ირაკლი?

- მაინტერესებს თქვენი ჩასვლა ქალაქ გროზნოში...

- დიდი წვლებით წავედი. უფრო სწორედ, გვიპარე. მატარებელი ჯერ ბაქოში ჩავდი, იქიდან სხვა მატარებელზე გადავეყვით. ირაკლის შესახებ არაფერი ვიციდი. სახლში ხომ ყოველდღე სუკი გვაკითხავდა. ჩემს რძალს ყოველდღე ორი კაცი ეჯდა ბინაში, ტელეფონთან არ უშვებდნენ.

როდესაც გროზნოში ჩავედი და სასტუმროში მივედი, 15 წუთი არ გასულა, შემ



ჩვენნი რწმენა

წმ. ნიკოლოზის მთავრობა

გვალაბა შორაული  
ალსასრულისათვის

მთელი ცხოვრების მანძილზე მუდმივად და გულმოდგინედ უნდა ვეშაბდებოდეთ სიკვდილისათვის. ამისათვის კი საჭიროა: ერთის მხრივ, წინააღმდეგობა ჩამოცილება და მეორეს მხრივ, გარკვეული საშუალებების გამოყენება მშვიდი ალსასრულისათვის.

წინააღმდეგობანი, რომლებიც ხელს გვიშლიან მშვიდად სიკვდილში და რომლებიც უნდა ჩამოვიშოროთ, ძირითადად შემდეგია:

- ა) ცოდვილი ცხოვრება, მონანიებისა და გამოსწორების გადადება მომავლისათვის;
- ბ) სიკვდილის დავიწყება, სურვილი ხანგრძლივი სიცოცხლისა, კეთილმსახურებაში წარმატებული გარჯის გარეშე;
- გ) გადამეტებული შიში ავადმყოფობისა და სიკვდილისა;
- დ) ღვთის გულმონყალებისა და საკუთარი რამდენიმე კეთილი საქმის წინააღმდეგობა იმედი, ღვთის მართლმსაჯულების დავიწყება;
- ე) გადამეტებული ძრწოლა და შიში ღვთის მართლმსაჯულებისა და მომავალი ტანჯვის წინაშე.

მაგზობარი ივანეებით მოგვიწოდებს, მარად ვიფიხვით სულის ხსნისათვის - მონები, რომლებსაც მოულოდნელად მოუხში ბატონმა ანგარიშის ჩასაბარებლად. მონები, რომლებიც ელოდნენ თავიანთი ბატონის ქორწილიდან დაბრუნებას. ათი ქალწული სასიძოს მოლოდინში. ქურდის მოულოდნელი მოსვლა. (მათ. 25, 1-13; 19; ლუკ. 12, 36-40; 16, 2; მათ. 24, 42-51). ეს ივანეები გვასწავლიან: ყოველ დღე და ყოველ საათს მზად უნდა ვიყოთ უფალიან შესახვედრად, სიკვდილის მოსვლასთან ერთად, რისთვისაც საჭიროა: ა) ხშირად გამოვიყოთ საკუთარი სინდისი, არის თუ არა ის სუფთა და მშვიდი იმ ზომამდე, რომ არ გვეშინოდეს სიკვდილიან შეხვედრისა. ბ) არა საკმარისი მოვერიდოთ მხოლოდ მძიმე ცოდვებს. უნდა გავაცნობიროთ ჩვენი მცირე შეცდომებიც. მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ გამართლებდა ადამიანი ღვთის წინაშე. საჭიროა გავიწმინდოთ გულისგან უნდა ვთქვათ ალსარება და ვეზიაროთ იმ განწყობით, როგორც ადვასრულებდით ამ საიდუმლოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთს. ბ) ყოველდღე უნდა დავიწყებოთ იმ ფიქრით, რომ შეიძლება გავივლიდით უკვე იმ ქვეყნად, ამიტომ საწოლშიც უნდა ჩავწვეთ უფლის მიმართ ლოცვით. დ) მოკლედ რომ ვთქვათ, ის, რასაც ისურ-

ვები გავაკეთებინა სიკვდილის ჟამს, გააკეთე უფრო ადრე. ამიტომ ხშირად უნდა კითხოთ თავს: ამ დღეს, ან ამ ღამეს რომ მოვკვდე, როგორ წარვვადგები უფლის წინაშე? ამიტომ მოულოდნელი სიკვდილი, თუ მას წინ კეთილი ცხოვრება უბოლოდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ბოროტებად და უბედურებად.

გვალაბა  
მოხლოებული  
ბარლუპალობის  
შესახებ

როდესაც უფალი ძალთა სწრაფი დაკარგვით ან მძიმე ავადმყოფობით გვამცნობს მოხლოებულ სიკვდილს, მაშინ განსაკუთრებული გულმოდგინეობითაა საჭირო მისთვის შემდეგი სახით მზადება:

1. ავადმყოფმა უნდა სთხოვოს ნათესავებსა და ექიმებს, გააფრთხილონ იგი სიკვდილის საშიშროების შესახებ მანამ, სანამ მოლანად არ გამოსცლია სულიერი ძალები და არ დაბნდნია გონება ტანჯვისაგან, რათა დროულად მოინანიოს ცოდვები, თქვას ალსარება, განიწმინდოს სინდისი, ეზიაროს, იცხოს ზეთი და დამშვიდებული სულით მოლანად მიეწოდოს ღვთის ნებას. არაერთხელ უნდა ეზიაროს და სთქვას ალსარება ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს.
2. დროულად უნდა მოავკაროს საშინაო საქმეები: შეადგინოს ანდერძი, შეურიგდეს ყველას: აბატონს მტრებსაც, პირადად ან, თუ ეს შეუძლებელია, ვინმეს პირით, გულთი შეუწოდოს მათ, ხოლო შემდეგ კი იფიქროს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეხვედნა სიკვდილს და როგორ წარვვადგები ღვთის სამსახურებში.
3. სიკვდილის წინ ეშმაკი განსაკუთრებული გაბოროტებით ესხმის თავს ადამიანს სხვადასხვა ცდუნებებით, ავდებს სასოწარკვეთილებას, ურყევს

გვალაბა  
ალსასრულისათვის

რწმენას, იმედსა და ღვთის სიყვარულს; უშფოთებს სულს ძველი ცოდვების გახსენებით, რადგან ანდერძი, ან ამ დღეს, ან ამ ღამეს რომ მოვკვდე, როგორ წარვვადგები უფლის წინაშე? ამიტომ მოულოდნელი სიკვდილი, თუ მას წინ კეთილი ცხოვრება უბოლოდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ბოროტებად და უბედურებად.



გამოსამშვიდებელი საუბარი მოუწვევებთან: ნუ შეძრწუნდება გული თქვენს გვამდელ ღმერთს და მიწაზე მე მამისა ჩემის სახლში ბევრი სავანა. ასე რომ არ იყო, განა გეტყვით: მივედივარ, რათა ადვილი გაგიმზადოთ? და როცა წავალ და ადვილს გაგიმზადებთ, კვლავ მოვალ და ჩემთან წავიყვანთ, რათა სადაც მე ვიქნები, თქვენც იქვე იყოთ.

კარგი იქნება თუ ხშირად ვიკითხავთ სულისგანტყვევების ლოცვას (კურთხევანში), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კანონს, ალსარებისათვის, ღვთისმშობლის პარაკლისს და სხვა მანუალებელ ლოცვებს. იესო ქრისტეს ფასდაუდებელი ღვაწლის, მორჩილების, ტანჯვისა და სიკვდილის მეორებით ღმერთი მიუტყვევებს მორწმუნეებს ყველა ცოდვას. ეკლესიური რწმენის მიხედვით (4 და 5 ლოცვა ზიარებისათვის) არ არსებობს ცოდვა, რომელიც

ავადმეტებული უფლის გულმონყალებას მხოლოდ თვითონ ადამიანმა უნდა მოინანიოს, დაუტევოს, შესაძლებელია ცოდვები და მორჩილად ითხოვოს პატიება. თუ კაცი მღვდელთან აღიარებს თავის ცოდვებს და მიიღებს შენიღობას, ღმერთიც პატიებას მას. ამაში არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს. მაგზობარი ეუბნება მოციქულებს და მათი სახით მათ შემკვიდრებსაც: „ვისაც მიუტყვევებთ ცოდვებს, მიუტყვევება მათ; და ვისაც დაუტყვევებთ, დარჩება მათ“ (იოან. 20, 23). „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც შეკრავთ მიწაზე, შეკრულ იქნება ცაშიც, და რასაც დახსნით მიწაზე, დახსნილი იქნება ცაშიც“ (მათ. 18, 18).

ღმერთი ჩვენ განგვცავს არა ჩადენილ ცოდვათათვის, რადგან ცოდვა ადამიანის წარმავალი, უძლეული და ხრწნადი ბუნების თვისებაა, არამედ ამ ცოდვების მოწინააღმდეგობისათვის. წმ. ისააკ ასურის ამბობს: სამწუხაროა არა ის, რომ მივემთხვევით ბოროტს, არამედ ის, რომ არ ვანებებთ მას თავს.

წმ. მამა დიორთე ამბობს: სიმდაბლეს, ერთს შეუძლია ღვთის მადლის მოხმობა სულისათვის. ის ერთი იფარავს სულს ყოველი ვნებისაგან და ცდუნებისაგან. სიმდაბლეს მარტოსაც კი (ღვაწლის გარეშე) შეუძლია უფლის სასუფეველში შევიყვანოს, როგორც მეფესალმუნე ამბობს: „შეხვედ ჩემს ტანჯვას და დაქანცვლობას და მაპატიე ყველა ჩემი შეცოდება“ (ფსალმ. 24, 18). ასე რომ, დავიმდაბლოთ ჩვენც თავი და ვისხენით. თუ ჩვენ, როგორც უძლეული, არ შეგვიძლია ვიღვაწოთ, ვეცადოთ თავის დამდაბლებას (ე.ი. შევიცნოთ ჩვენი სისუსტეები, ნაკლებ, ცოდვები, დანაშაული უფლის წინაშე ვითხოვოთ უფალს შეწყალება, შემწეობა, ჩავთვალოთ ჩვენი თავი ცოდვილად, ბედნიერების უღირსად და ყველაზე უარესად სხვა ადამიანებს შორის და ღვთის მოწყალების რწმენით, იმ მცირედიც კი, რაც ჩვენ მოვიძოქმედეთ სიმდაბლით, მოვხვდებით იქ, სადაც იმყოფებან ღვლმოსილი წმინდანები. ნუთუ სიმდაბლეს არ შეგვიძლია? დავიმდაბლოთ თავი და ღმერთი გვისხნის ჩვენ.

მისხროვით უფალს შეწყალება  
და შეხვედნა  
ღმ. ჩვენც მონანიე უფლის სიმდაბლითა და ქედმობრით შევითხოვოთ უფალს ჩვენი ცოდვების პატიება და შენიღობა.

მოამზავა **ლუიზა საჭაბაშვილი**  
მამა ლაზარეს (კანდელია)  
ლოცვა-კურთხევით

ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების  
დაცვისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირები



ვაველვა გაბელავა

დაიბადა 1951 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ შამონაში. მამა ადრე გარდაეცვალა და ობლად აღზარდა დედამ ხუთი შვილი. 1969 წელს დაამთავრა სკოლა და მუშაობდა დაინყო სატყეო ბირჟაზე. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ კი მუშაობას იწყებს ენგურქალაქადკომინანტში. თავისი ხასიათით, შრომისმოყვარეობით, მომთხოვნელობით ჯერ საკუთარი თავისადმი და შემდეგ სხვებისადმი მან ავტორიტეტი, პატივისცემა დაიმსახურა. ჰყავდა მეუღლე და ორი ვაჟი - ზაზა და ზვიადი. იცავდა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას, თავის ხმას, თავის კუთხეს. 1992 წლის 6 ივლისს ნაღწევისას მოკლეს ხუნტის ბანდიტებმა.




ვახტანგ გომსაკი

მათემატიკოსი, პროფესორი მუშაობდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილებზე: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკურ ინსტიტუტში, 69-ე საშუალო სკოლის დირექტორად, 22-ე რუსულ-ქართულ სკოლაში, როგორც დევნილი ეროვნული ხელისუფლების დამცველი, იძულებით გადაიყვანეს მე-19 რუსულ სკოლაში, სადაც პროტესტის ნიშნად აღარ მისულა. იყო მამულის უსაზღვრო მოყვარული, და კანონიერი მთავრობის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი. ყვარლის მთებში თავშეფარებული საქართველოს პრეზიდენტის მომხრეთა 14-კაციანი ჯგუფი 1992

წლის აგვისტოში ხელთ იგდეს ხუნტის ჯარებმა. უმოწყალო ცემისა და არაადამიანური წამების მიუხედავად ვახტანგს მრწამისისათვის არ უღალატნია. სისხლიანი „მთავრობის“ ცრუ ტელევიზიამ საზოგადოებას ამცნო პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე „ქაჩაღთა“ გაუვნებელი და ნაცემ-ნაგვემი, დასისხლიანებული ადამიანები წარადგინა ევრანზე. დასახინრებულებმა „ალსარებაში გულწრფელად მოინანიეს სამშობლოს დაღალტი და თავი დამნაშავედ ცნეს“. ტელედიქტორთა განცხადებით, თითქოს „ბულმონყალე“ ხუნტამ შეუნდო მათ დანაშაული და გაათავისუფლა. სინამდვილეში ნანამები ვახტანგ გომსაკის გვამი რამდენიმე დღის განმავლობაში არ გადასცეს ახლომდებ. მის ბინაში ენ. მთავრობის დავალებით შეიჭრნენ უცნობი პირები „ტერორისტის არსენალის აღმოსაჩენად“ და არნახული ცინიზმით შეურაცხვეს გარდაცვლილის მეუღლე და მცირეწლოვანი ქალიშვილი. განადგურებულ ოჯახს ესეც არ აკმაყრს და დაკრძალვისათვის აუცილებელი სამედიცინო ცნობა დასაფლავებამდე ორი საათით ადრე მისცეს, რომელშიც შემზარავი სიტუაცია ეწერა: ვახტანგ გომსაკი „გულის უკმარისობით და ათეროსკლეროზით გარდაიცვალა“... ასე განუკითხავად, დაუნდობლად მოკლეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, სიმართლისათვის თავშეწირული კაცი. შემდგომ, როცა ჭირისუფალმა მო-

ითხოვა გაუგონარი დანაშაულის გამოძიება, პასუხად ცინიზმით აღსაცხებარათი გამოუგზავნეს, რომლის მსგავსიც, ალბათ, ავადსახსენებელ 1937 წელსაც არ მოუვიდოდათ აზრად. საქართველოს სრესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მამინდელი უფროსი გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი დ. ჯინჯოლავა გარდაცვლილის ოჯახს სწერდა: „ლეილა გიორგის ასულ თაქთაქიშვილ-გოქსაძეს გაცნობებთ, რომ სისხლის სამართლის საქმე ვახტანგ ისაკის ძე გოქსაძის მიმართ, რომელშიც იგი იმხილებოდა სამშობლოს დაღალტში, დივერსიებისა და ტერორისტული აქტების მომზადებაში, ბანდიტიზმში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებაში, ან. (1993 წლის) 9 დეკემბერს შეწყვეტილი იქნა მისი გარდაცვალების მოტივით, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამსახურის კოდექსის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე“. ასეთი ჭეშმარიტება და კაცთმოყვარეობით მოვიდა სათავეში საქართველოს ენ. ხელისუფლება, რომლის სულიერი მემკვიდრენი დღესაც აგრძელებენ „საგამირო“ საქმეებს.



კოტე ჩაკაბერიია

დაიბადა 1959 წლის 12 დეკემბერს სენაკში. 1977 წელს დაამთავრა სენაკის მე-5 საშუალო სკოლა. 1979 წლიდან მუშაობდა სენაკის კულტურის სახლში საშხატკრო ხელმძღვანელად. კოტე ჩაკაბერიია 1992 წლის 2 მარტს დაიღუპა. მას გვარდიის „ბეტეერი“ დაეჯახა, რომელსაც ხუნტის ერთ-ერთი დაქირავებული მებრძოლი მართავდა. დარჩა მეუღლე და ქალ-ვაჟი.

რედაქცია მკითხველს სთხოვს გამოგვიგზავნოს ბიოგრაფიული ცნობები განვლილ 10 წელში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის დაღუპულ გმირთა შესახებ.

აღმზრდელი

დავით შირვაძე



„ილირი“

მზე - ჩახახა, არნახული ჩრდილოური, დასავლური, ამოვიდა... ცეცხლი რულო, სიმბოლოები ჩაკარგული: ყნველა ბოლოთ აღკაზმული ჭოჭოხეთი - დაზარალებული, მომავალი - მოქარგული, ანაყოფი -

ლოდში მეფეაქრული. ხელი გაქვთ მყარი თამასუქი, ტრანსფერებით განასუქი, გვაროვ მოფრგამთ, სისხლიერ თუცი... ან - „რვა ლარი“ და გზა მუქი. ვის გროშს - ძმარი, ვის ხაზს - ცაძუ, ოქროს ცოცი - ზედ კაჭადუ, - ვიზიარო“ ჩრდილოთი ედიკასი - ქმედით უმოქმედითასი.

მამულს...

დაგვიღადრობა ერთოთრი დანით, ძმათა გვაძობავან სისხლი ჩხრიანოვებს - ვერ შევსებულა ვაში. შამფურგაყრილი, წბიერის ძალით.

ქართული მინა წყნობაზე ტრიალივს - ქართულიად მრანავს ალი.

ვინ დაგვიღადა, მამულიო, კანი... ისევ ქართველი მიგატყავს?! მუდამ კოლონდო ამით.

ვის უყვინხარ ქართველზე მეტად? ქართველს ქართველი რომ უქოლია... არ გეზიზღებოთ ნეტა?!

\*\*\*

მერამდენე ვაზაფხული გაუღენთილი „სურნელებით“, ფარფურით არნახულით, პირველიონის მსურველებით. რის სამშობლო, რა მამული რის ვარდი, რა კუნელები, ერის ზედი დანაღმული ფულით განასულებლების.

შეგვარურა წოდვის ბანგში პოლიტიკურ მეძავობამ, ბოლომა-მურმა, ყველა რანგში ერთმანეთის მეტაობამ.

მერამდენე ვაზაფხული გაუღენთილი „სურნელებით“, ნაბიღონული სუკლის ხსული - ზედ ხორუმი თხუნელების.

ფიქრები

ფერეიდანი მახსენებს ვასულის სისხლიან ნარსულის, ეამს გარდასულის ვასულის და არ მსურს, რომ დავივიწყო ეს ნარსული - ფრონა კრული, გახსენებარე კი ასე რომ გვზარავს!

ქართული ცანი დაჯიღილი დანდო, ფერეიდანი მაგონებს ამ ნელიუსს, ქართველი ხალხის მედგარ ზრძილას, მტერთა სრბოლას.

ჩვენს ჩასაქოლად რომ ხმარობდა ყოველგვარ ძაღვს!

მინდორ-ველები სისხლის ცბორებით, წრემლოთა ფონებით, წხედართ კონებით, ხმლით აკუნული ნაჭრებად ცანი, მოთქმათა ხანი - ფერეიდანი!

მიგ ალვერევი სისხლიან ნარსულის, ან გარდასულის, გახსენებარე კი ასე რომ გვზარავს!

შევეურებ ქართველს იარაღასხმულის სახნისის კვალში, გვაძემს მტკვარში, ასეულობით მონათა ზაზარს... კენესას და მოთქმას, ურტულით მოდგმას, წარიელ ცაძრის სისხლიან ფასაფს, დროებას ნარაფს - გახსენებარე კი ცანში რომ გვზარავს.

„რაც კარგი ექნას რუსისა შტიკა, ღმერთმა იმ რუსსვე ასევედ მისცეს“

დასაწყისი წინა ნომრებში) როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიამ საქართველო ჯერ კიდევ 1811 წელს „გააბედინებინა“, როცა წართეა მას წმიდა ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში მოპოვებული საეკლესიო დამოუკიდებლობა - ავტოკეფალია, გააუქმა კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარისის თანამდებობა, ანტონ II-ს თავი რუსეთში უკრეს, ხოლო კათალიკოსის ნაცვლად საეკლესიო ოლქის მმართველი - ეგზარქოსი დაგვინიშნეს. 1811 წლიდან 1917 წლამდე, ე.ი ავტოკეფალიის აღდგენამდე, ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ამ თანამდებობაზე ქართველი კაცი - ვარლამ ერისთავი დანიშნა. ვინაიდან ეგზარქოსი ვარლამი რუს დერეფიმორებს თავიანთი აღვირახსნილი რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებლად ვერ გამოადგათ, ისიც ანტონ II-ის გზას გაუყვნეს, ხოლო მის შემცვლელად თავიანთი დამქაში, უჯიათი, თავები და გულქვა რიაზანელი ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი მოგვივლენს. სწორედ ამ ნაბიჯიდან დაიკვამდა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება, რომელიც თეოფილაქტე რუსანოვი იმპერატორის მიერვე გაძარცვულ-გაუბედურებული იმპერიის ეპარქიიდან წლიური შემოსავალი 18-20 ათასი მანეთიდან 100 ათას მანეთამდე (ე.ი. 5-ჯერ და მეტად) გაზრდილიყო ხაზინის სასარგებლოდ. ამასთანავე მკვეთრად უნდა შეემცირებინათ სამღვდლოების რიცხვი. ეკლესიებში ჩვენი დვითიგურთხეული ქართული ენა რუსული უნდა შეეცვალათ, გაეზარდათ საეკლესიო გლეხთა (რომელთა რიცხვი II ათას კაცს აღწევდა) გადასახადები, 1000-ზე მეტი საეკლესიო გლეხის კომლი აეყარათ და სახაზინო მიწებზე დაესახლებინათ, რაც მათი სახლ-კარისა და მეურნეობის ძირგალი წლით მოშლას ნიშნავდა. ეგზარქოსი თეოფილაქტე იმერეთში, რაჭასა და გურიაში მხოლოდ სამ ეპარქიას ტოვებდა (მანამდე რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ ქართლ-კახეთში 13 ეპარქიიდან მხოლოდ 4 ეპარქია დატოვა).

ტორული პოლიტიკის და ე.წ. საეკლესიო რეფორმის გატარებას თეოფილაქტე რუსანოვი მისთვის ჩვეული თავზედობითა და ბატონკაცური თვითნებობით შეეცადა, რითაც სულ მალე თავის თავსაც და რუსეთის იმპერიასაც თითქმის მიელი დასავლეთ

აღსანიშნავია, რომ აბოპოქრიფული იმერეთიდან თბილისში გაქცეულ კოლონიური ხელისუფლების ჭოჯაკი თეოფილაქტე რუს გენერლებთან ერთად აღდგენა აჯანყების მეთაურთა დასაპატიმრებელ სიებს. იქ პირველი აღვილი ეკავათ მიტროპოლიტებს - დო-

ბარაგით (300 ჯარისკაცითა და ქვემეხებით) 9-12 ივლისს მიაკილა ქ. გორამდე, სადაც მას შეხვდნენ იმერეთის გასანადგურებლად აღმოსავლეთ საქართველოდან დაძრული საოკუპაციო ჯარები. სწორედ ამ ჯარებს სთხოვდა გენერალი კურნატოვსკი

საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების პარკების ისტორიიდან



საქართველო აუშხედრა რეფორმის გატარება თეოფილაქტემ 1819 წლის ივნისში დაიწყო. როგორც კი მოსახლეობამ გაიგო ე.წ. საეკლესიო რეფორმის შინაარსი, მთელი იმერეთი აჯანყდა. უჯიათი ეგზარქოსი უკან მიიწეო არ იხვედა: მისი გაგზავნილი ემისრები ხურავდნენ ეკლესიებს, ამცირებდნენ სამღვდლოებს, ერეკებოდნენ უადგილოდ დარჩენილ სასულიერო პირებს, მოსახლეობას ახალ საეკლესიო გადასახადებს უცხადებდნენ. გურია-სამეგრელოში გაგზავნილი მისი ემისრები მოსახლეობამ იფრინა, ხოლო მთელი იმერეთი და რაჭა აჯანყების აღში გაეხვიდა. ეგზარქოსი თეოფილაქტეს მოხელეთა მოქმედება პირველ რიგში ვაკე იმერეთისა და შორაპნის ოლქის აჯანყებულმა მცხოვრებლებმა აღკვეთეს. „აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმები რაჭაში პირველ დღეებშივე აღწვედა 2000 კაცს. რაჭის ოლქის უფროსი თავისი რაზმით იძულებული გახდა შეეპტილიყო კვარას ციხეში. იმერეთში აჯანყებულნი იკავებდნენ სადარაჯოებს, ზერგავდნენ გასავალ გზებს, წყვეტდნენ მოძრაობას“ (ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 105).

იმხანად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ მებრძოლი მთავარსარდლის გენერალ ერმოლოვის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს აჯანყების ჩასახშობად, „აჯანყების სულისკვეთება, - მოახსენებდა იგი ველიამინოვს, - საყოველთაოა და ჩვენს მხარეზე არავინაა“ (კავკ. არქივურ. კომისიის საბუთები. ტ. IV. ნაწ. I. გვ. 743).

გულგახეთილი გენერალი კურნატოვსკი იქვე ამატებდა, რომ გურულები და მეგრელები შეიძლება იმერლებთან ერთად აჯანყდნენო. რუსი ოკუპანტი მართალი აღმოჩნდა. დამპყრობელთა პირველყოფილმა ველურობამ და მხეცობამ ყველას მოთმინების ფაილა აუვსო, მართლაც, „რაც კარგი ექნას რუსისა შტიკა, ღმერთმა იმ რუსსვე ასევედ მისცეს“ (წმ. ილია მართალი)!

აჯანყებულთა მხარეზე იყო მთელი ქართული სამღვდლოება. მათ შორის ცნობილი მღვდელთმთავრები და მამულიშვილები დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, რომლებიც იმერეთის სხვა დიდებულებთან ერთად 1789 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს იმერეთის სამეფოს მის სამეფოსთან შეერთებას თხოვდნენ საქართველოს გაერთიანების მიზნით.

იმერეთის მამნდელი მმართველის, გენერალ კურნატოვსკის მოთხოვნაზე - დავამალათ აჯანყებულთა რაზმები, ამბოხებულებმა უშიშრად უპასუხეს, რომ არ დაიშლებოდნენ მანამ, სანამ მათ არ გადაეცემოდნენ ეგზარქოსის მოხელეთა შედგენილი მცხოვრებთა საგადასახადო სიები და თვით თეოფილაქტე არ იქნებოდა მოშორებული იმერეთიდან. საკუთარ ტყავზე შეფიქრებულმა ეგზარქოსმა ახლა კი იკადრა იმერეთიდან გაქცევა. გენერალმა კურნატოვსკიმ კი 1819 წელს იგი გაძლიერებული სამხედრო

გულგახეთილი გენერალი კურნატოვსკი იქვე ამატებდა, რომ გურულები და მეგრელები შეიძლება იმერლებთან ერთად აჯანყდნენო. რუსი ოკუპანტი მართალი აღმოჩნდა. დამპყრობელთა პირველყოფილმა ველურობამ და მხეცობამ ყველას მოთმინების ფაილა აუვსო, მართლაც, „რაც კარგი ექნას რუსისა შტიკა, ღმერთმა იმ რუსსვე ასევედ მისცეს“ (წმ. ილია მართალი)!

ჩვენის ისტორია

გაუმგებობა ქუთაისის მისაღვობები. აჯანყება სულ უფრო ფართოვდებოდა. აჯანყებულებმა სცადეს იმერეთში მეფის ხელისუფლების აღდგენა. იმერელმა თავადებმა იმერეთის მეფედ სოლომონ პირველის ასულის და-რეჯანის ვაჟი ივანე აბაშიძე გამოაცხადეს, ამიტომ იყო, რომ რუსმა ოკუპანტებმა დარეჯან ბაგრატიონის შვილი 1820 წლის დამდეგს ერთ-ერთ „მთავარ დამნაშავედ“ გამოაცხადეს და ყოველმხრივ ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. იმავე წლის იანვრისათვის რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ დიდძალ ჯარებს მოუყარა თავი იმერეთში და აჯანყებულთა წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. იმერეთის მმართველ გენერალი კურნატოვსკი, რომელსაც რუსეთის მთავრობა ბრალად სდებდა სისუსტეს აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გაწვეულ იქნა და მის მაგივრად დანიშნეს პოლკოვნიკი პუზირევსკი. ამ ნაბიჯიდან მალე „ისახელა“ თავი ვერაგობით, მუხანათობით, სისასტიკითა და მხეცობით. 1820 წლის 4 მარტს მან რამდენიმე ასულის გაპყენებით სწორედ ვერაგობითა და მუხანათობის გზით შეძლო დაეტყვეებინა იმერეთის მთავარი მღვდელთმთავრები - თოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი, აგრეთვე დედოფალი დარეჯანი, სეხნია წულუკიძე და დივანბეგი დავით მიქელაძე. სწორედ ისინი მაჩნდათ რუს ოკუპანტებს აჯანყების მოთავეებად. მათმა დატყვევებამ დამპყრობთა მიერ გაწამებული ხალხი მეტი შურისძიების ცეცხლით აანთო. 1820 წლის აპრილიდან აჯანყება ახალი ძალით გაიშალა განსაკუთრებით რაჭასა და გურიაში. მაგრამ დაუბრუნდეთ იმერეთის მღვდელთმთავრების - დოსითეოზ ქუთათელისა და ექვთიმე გაენათელის თავსდატეხილ უბედურებას. ჯერ კიდევ მათ დატყვევებამდე კავკასიელი ხალხების ჯილათი გენერალი ერმოლოვი თავის დამქაშებს სწერდა: „საჭიროდ მიმაჩნია იმერეთიდან მიტროპოლიტების - ქუთათელისა და გაენათელის მოცილება“ (ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 11). რამდენად თავზედა მთავარსარდალი, ჩანს მისივე სიტყვებიდან: „ვიცი, რომ ეს

# საქართველოს პელსინის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის პრესცენტრის განცხადება

1989 წელს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს პელსინის ჯგუფის ბაზაზე დააარსა საქართველოს პელსინის კავშირი; მალევე, 1990 წლის თებერვალს შეიქმნა საქართველოს პელსინის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია.

1990 წელს პელსინის კავშირის მენეჯერობით ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, რომელზეც 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა მრავალპარტიულ არჩევნებში და დიდი უმრავლესობით დააკომპლექტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

1991 წლის 31 მარტს კანონიერმა ხელისუფლებამ ჩაატარა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის შედეგების საფუძველზეც, 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. საბჭოთა კავშირის იმპერიის სივრცეში პირველად საქართველომ დაიწყო დემოკრატიული და დამოუკიდებელი ქვეყნის აღმშენებლობა... ამ პროცესებში თავისი სერიოზული წვლილი შეიტანა საქართველოს პელსინის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციამ.

1991 წლის ბოლოს საქართველოს აღმშენებლობა შეაჩერა რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით საქართველოში განხორციელებულმა პუტჩმა; სახელმწიფო გადატრიალების გზით რუსეთის მიერ მოყვანილმა უკანონო მარიონეტულმა რეჟიმ-

მა რეფერენდუმში გამოხატული საქართველოს მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ საქართველო რუსეთის ნეოიმპერიაში - დსთ-ში შეიყვანა და ქვეყნის მართვა კლანების ინტერესების მიხედვით დაიწყო.

საქართველოს პელსინის კავშირმა და მისმა რეგიონალურმა ორგანიზაციებმა, პუტჩისტების მიერ დემონსტრაციების დახვეწა-დარბევის მიუხედავად, აქტიურად გააგრძელეს ბრძოლა უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ პელსინის კავშირის თავჯდომარის, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ არსებული მძაფრი რეპრესიების პირობებში რეგიონალური ორგანიზაციების ფიზიკურად გადარჩენა-შენარჩუნებაც კი გაართულდა. ქუთაისის ორგანიზაციის წევრების სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ 1997 წლამდე, საქართველოში ქონი მანანა არჩაძე-გამსახურდიას დაბრუნებამდე, შეინარჩუნეს ორგანიზაცია, ხოლო საქართველოს პელსინის კავშირის თავჯდომარედ ქონი მანანა არჩაძე-გამსახურდიას არჩევის შემდეგ განახლეს აქტიური პოლიტიკური ბრძოლა უკანონო დე ფაქტო ხელისუფლების წინააღმდეგ. ფაქტოდ, ქუთაისის ორგანიზაციაში განახლდა ახალ წევრთა მიღება და მომზადდა არაერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის „მემორანდუმის“ პროექტს. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდამ ქუთაისის ორგანიზაციის მიერ წარ-

დგენილ პროექტს მისცა რა იურიდიული დოკუმენტის საბოლოო სახე, იგი აქცია თავისი სტრატეგიისა და ტაქტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტად.

მემორანდუმში დაფიქსირებულია, რომ დღევანდელ საქართველოში არის ორხელისუფლებიანობა: არსებობს ხელისუფლებიდან განდევნილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც თავისი სამართალმემკვიდრეობა არ შეუწყვეტია და არც არავისთვის გადაუცია; ასევე, არსებობს სამართლებრივად უნარსულო დე ფაქტო ხელისუფლება. მემორანდუმში, ასევე, გარკვევითაა ნათქვამი, რომ საქართველოს აღმშენებლობა არ განახლდება უკანონო (კლანური) ხელისუფლების არსებობის პირობებში და ქვეყნისთვის გამოსავალი მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის შემდეგ დაინშნული საყოველთაო არჩევნებია...

2002 წლის 18 თებერვალს შესრულდა საქართველოს პელსინის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის 12 წლისთავი. ორგანიზაციის გამგეობა კავშირის წევრებსა და მრავალრიცხოვან მხარდამხერებს ულოცავს ამ საიუბილეო დღეს და უსურვებს მეტ მხნეობას კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენისათვის ბრძოლაში... ჩვენი მთავარი ძალა ჩვენი სიმართლეა: საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის დაწყება მხოლოდ მართალ და ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეუძლია!


## პარიკაზისტი კიბანია



შევარდნაძე ვენიას ეტყვის, სააკაშვილის გარეშე დიდი მომავალი გაქვს და შენთვისაც გამოიძებნება ადგილი და მეც იგივე შემომთავალა, ოღონდ, პირიქით.

ა. სააკაშვილი, „ალია“, №17.

რითი სჯობია ერთი შევარდნაძის ჭკუა ყველა თბილისელის ჭკუას? გივი თარგამაძე, „ალია“, №17.



## განსჯორება

ჩვენი გაზეთის წინა, 34-ე ნომრის პირველ გვერდზე უნდა იკითხოვოდეს: „15 თებერვალი - მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა“. ამავე ნომრის პუბლიკაციაში „2 თებერვალი ბრალს სხებს შევარდნაძის, სიგუას, იოსელიანისა და კიტოვანის პუტჩისტურ უკანონო დე ფაქტო ხელისუფლებას“ - მე-2 გვერდის მე-2 სვეტში უნდა იყოს: „დღის მეორე ნახევარში, როდესაც ამერიკელთა დელეგაცია იმყოფებოდა კრწანისის რეზიდენციაში, პაატაშვილების, ღიბამინჯიების, ურიდების, მულაშვილების და სხვა მოღალატეთა მეშვეობით...“ (შემდეგ როგორც ტექსტშია).

## გარდაიცვალა საქართველოს პელსინის კავშირის თელავის ორგანიზაციის წევრი თემურ მარგალიტაშვილი

განსაკუთრებულია მისი ღვაწლი კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში. ბ-ნი თემური არის 1999 წლის შიმშილობის აქციის მონაწილე, რომლის დროსაც ხანგრძლივად იმომშობა; მონაწილეობდა მრგვალი მაგიდის ეგიდით გამართულ საპროტესტო აქციებში. 2001 წლის 26 მაისს ისიც სასტიკად სექემეს შევარდნაძის ჯალათებმა ათასობით მომიტინგესთან ერთად.

ბაგონი თემურ მარგალიტაშვილი 59 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან. ჩვენ აღრე დაგველოცა, ბრძოლას კი მიღმა სამყაროდან უსათუოდ გააგრძელებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბაგონი თემურის სული.

საქართველოს აპოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, საქართველოს პელსინის კავშირი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდს, ვეშაბრიც ქართველს, საქართველოს პელსინის კავშირის წევრს, პოლიტპატიმარ ირბატლი ომბბბბბ ვულოფუთ დაზაფინის დღეს. ბაგონი ირაკლის ეხოვრების გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, მაგრამ ზეფნიერია, ვინაიდან ყოველივე საქართველოსა და სიმართლისათვის დათმინა, საზღაურად კი ქართველი ერის დიდი სიყვარული ერგო. ღმერთი იყოს მისი შემწე ჩვენი ქვეყნის ზეფნიერებისათვის სავალ ძნელ გზაზე, ჩვენი დიდი ნინაპრების ლოცვა შესწევდეს.

საქართველოს პელსინის კავშირი,  
საქართველოს პელსინის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია,  
გაზეთი „ქაჯი“ რედაქცია

# საქართველოში რუსეთის საოკუპაციო ჯარების პარკაზის ისტორიიდან

ზომა (მღვდელმთავრების დატყვევება და მათი რუსეთში გადასახლება - ა. მ.) ხელახლა ააჯანყებს ხალხს. მიუხედავად ამისა, უკეთესია, ახლა შევედგეთ ამას, ვიდრე გადავლით შემდგომ დროს, ვინაიდან ზამთრის ამინდი, რომელიც არ აძლევს საშუალებას აჯანყებულებს დამალონ თავიანთი ოჯახები და რაზმები ტყეებში, ჩვენ გვაძლევს უკეთეს საშუალებას გავფანტოთ ისინი შეიარაღებული ძალით“. (კავკასიის კომისიის საბუთები, ტ. IV, ნაწ. I, გვ. 574).

ისინი პუზირევსკი რა პუზირევსკი იქნებოდა, რომ ზედმიწევნით გულმოდგინედ არ შეესრულებინა თავისზე უფრო დიდი ჯალათის დავალება, რისთვისაც ერმოდოვისა და მისი დამქაშების გულითადი მადლობა დაიმსახურა, მაგრამ თენახვევარში პუზირევსკი აჯანყებული გურულების ხელით საიქიოს გაემგზავრა. ამაზე ქვევით ვისაუბროთ.

ახლა კი შევეხებით საკითხს იმის შესახებ,

თუ როგორ მხეცურად და ბარბაროსულად მოექცა იმპერიის ახლადგამოცხვარი სამხედრო მმართველი პოლიკონიკი პუზირევსკი დატყვევებულ ღმერთშემოსილ მღვდელმთავრებს - დოსითეოს ქუთათელსა და ექვთიმე გაენათელს. „პუზირევსკის საჭიროდ მიანდა ტომრები გადაეცვა თავზე პატიმრებისათვის (უნდა იყოს - ტყვეებისათვის - ა.მ.) და ისე დაეკრათ ისინი ცხენებზე, რომ ერთმანეთი ვერ ეცნოთ და ვერც გზაზე ეცნო ისინი ხალხს. ტომრებში გახვეულ პატიმრებს (ტყვეებს - ა.მ.) უნდა ესუნთქათ პატარა ჭრილის მეშვეობით. ტომრები დამაგრებული იქნებოდა ყელსაბმელით და ქაბრით“, თუ ვინმე დაესხმებოდა თავს ბადრავს მღვდელმთავრებისა და სხვა დატყვევებულთა გამოსახსნელად, „ყველა პატიმარი (ტყვე - ა.მ.) უნდა მოეკლათ და მდინარეში გადაეყარათ“ (იქვე, გვ. 801). აი, მართლმადიდებლობის „დამცველი“ რუსი დამპყრობლების ნამდვილი სახე, პირტყვის დინეზე დატყვევებული არსებობა ამა-

რზენი სახე! დამის საფართო და გაძლიერებული სამხედრო ბადრავით ტყვეები ქუთაისიდან სურამისაკენ წაიყვანეს, რათა ქართლიდან საქართველოს სამხედრო გზით ისინი რუსეთში გადასახლებინათ. დატყვევების შემდეგ გამხეცვლილი რუსი სალდათების მიერ ქუთაისში უღვთოდ ნაცემი და ნაწამები (ცემა-ტყევა და ბარბაროსული წაშება არც სხვა ტყვეებს დააკლეს!) დოსითეოს ქუთათელი გზაზე, ღიბის მთის მდამოებში გარდაიცვალა. რუსმა მტარავლებმა ანაურამდე არ გაამხილეს მისი დღეუპის ამბავი და იქაურებს დაუტოვეს სახელოვანი მღვდელმთავრისა და მამულიშვილის ნეშტი დასაკრძა-ლავად. ანაურულემა სათანადო პატივი მიაგეს პირთვებას, რომელმაც მისი ღრმამინაარსიანი და ამაღლებული სიცოცხლე სამშობლოს საკურთხეველზე უმწიკვლოდ მიიტანა...

დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გაენათელის დატყვევებისა და მხეცვლილი წამების თვითმხილველი კაბიტანი ლუტეკი შემდგომში იგონებდა: „გადააწყდა ორი მთავარი წარჩინებულის, მიტროპოლიტების - გაენათელისა და ქუთათელის რუსეთში გავზავნა. მათი დაპატიმრების (დატყვევების - ა.მ.) დროს ადგილი ჰქონდა უხეშ მოქცევას, რადგან ერთი მთავანის წინააღმდეგობის გამო იხმარეს თოვის კონდახები და ხისტყები. ასე, რომ გასისხლიანებული და ნაკემი მწყვეთსმთავარი

(დოსითეოს ქუთათელი - ა.მ.) შეკრეს და ძალით შეხვეს ცხენზე“ (რუსეთის მფლობელობის დამკვიდრება კავკასიაში, ტ. III, ნაწ. II, რუს. ენაზე, გვ. 412).

რაც შეეხება ნაცემ-ნავეგმ, პატიყვარელი, შეურაცხყოფილ და დამცირებულ ექვთიმე გაენათელს, იგი რუსეთის ჩრდილოეთში გადასახლეს და ორიოდე წლის შემდეგ უცხოებაში დაასრულა თავისი განაწამების სიცოცხლე. შემდგომში მისი თანამედროვე ქართველი ნაღვლიანად წერდა: „წმიდა მამა ეფთვიმი მიტროპოლიტი გაენათელი მიიცვალა ექსორიობასა შინა რუსეთს, მონასტერსა სვირისასა... 1822 წ. თთუესა აპრილსა 21-ს, დღესა პარასკევსა და დაფლეს მურვე მონასტერსა შინა“ (ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1949, გვ. 67).

ღრმად მწამს, რომ დადგება დრო, როცა სამშობლოსათვის ამ წამებულ მღვდელმთავართა და მამულიშვილთა - დოსითეოს ქუთათელის (წერეთლის) და ექვთიმე გაენათელის (ერისთავის) წმიდა ნეშტს მადლიერი ქართველობა ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი სალოცავის - გელათის მონასტრის ძვალშესალგაში მიუქნეს საუკუნო განსასვენებელს.

აბაგი მათიაშვილი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
(გაბრძელობა მოზავერო ნოზიარში)

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტყარაძე  
ხასუხისმგებელი რედაქტორი ონისე ბანძელაძე  
გაზეთის დირექტორი აბაგი ბაბუნაძე  
გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818  
რედაქციის მისამართი: ქუთაისი, კუარტალი 32, ტელ.: (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05  
ელ. ფოსტა kuji@posta.ge; გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/kuji